შ.პ.ს.
სენაკის „სამშობიარო სახლი“

L.T.D.
„MATERNITY HOUSE“ O
SENAKI

საქართველო, სენაკი, რუსთაველის ქ. №108 ტელ.: (0 413) 27-52-63 / 27-51-18 მობ: 595 76-76-17

Georgia Senaki, Rustaveli №108 Tel.: (0 413) 27-52-63 / 27-51-18 / 595 76-76-17

№15
15.05-2024

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

გეგზავნებათ შპს „სენაკის სამშობიარო სახლის“ მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში თანდართული დანართის შესაბამისად.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

დირექტორი: კ. ვახანია

ანგარიში

შპს „სენაკის სამშობიარო სახლის“ მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „სენაკის სამშობიარო სახლის“ (ს.კ. 239866560) 100 % -იანი წილი 2016 წელს სახელმწიფომ საკუთრებაში გადასცა სენაკის მუნიციპალიტეტს და შესაბამისად, საწარმოს კაპიტალში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების განკარგვას ვანხორციელებთ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

შპს „სენაკის სამშობიარო სახლის“ სტაციონარი, 2017 წლის 1 იანვარს დროებით დაიხურა დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით (სენაკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით), რადგანაც არ აკმაყოფილებდა ჯანმრთელობის სამინისტროს ბრძანების შესაბამისად პერინატალური სამსახურის რეგიონალიზაციის დონეებსა და პაციენტების რეფერალურ კრიტერიუმებს. მიუხედავად ამისა , შევძელით შეგვენარჩუნებინა ანტენატალური მეთვალყურეობის პროგრამაში ჩართულობა შესაბამისი დონის მინიჭების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს რვა უფასო ვიზიტს, რაც დიდი შეღავათია განსაკუთრებით შეჭირვებული მოსახლეობისათვის.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მშობიარობა და საკეისრო კვეთა, ყველა მოქალაქისთვის სრულად ფინანსდება. დაფინანსება მოიცავს არჩევით ექიმის აყვანასა და გაუტკივარების საფასურს, ასევე მედიკამენტების, კვებისა და პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯს. შესაბამისად, პაციენტს თანხის გადახდა არ მოუწევს. ეს პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან და ჩვენთან განხორციელდება სტაციონარის გახსნის შემთხვევაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სენაკის მუნიციპალიტეტის ფინანსური დახმარებით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები 2019 წლიდან, ეტაპობრივად, დღემდე.

გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, შიდა ბრძანების საფუძველზე შეწყვეტილია რისკ ჯგუფების - ორსულთა მიღება, რადგან ვერ ხერხდება სათანადო სრულყოფილი მომსახურება.

მიუხედავად ამისა, 2023 წელს მომსახურება გაეწია 255 პაციენტს. დაწესებულების შემოსავალი 2023 წელს შეადგენს 11606 ლარს. მათ შორის, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით 5169 ლარი, შიდა სტანდარტით 6437 ლარი.

შპს ,,სენაკის სამშობიარო სახლს” 2024 წლის 1 იანვრისთვის ერიცხება გაუცემელი ხელფასის დავალიანება 103 843ლარი (2008-2017წწ). მათ შორის, სადაზღვევო კომპანიების მიერ გადმოსარიცხი მიუღებელი თანხა არის ნაგულისხმევი - 23469 ლარი.

შპს ,,სენაკის სამშობიარო სახლს“ 2024 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება დებიტორული დავალიანება 95676 ლარი, კრედიტორული დავალიანება 73928 ლარი.

2023 წლის ივნისის თვეში ადგილი ჰქონდა ქურდობის ფაქტს, რის შედეგადაც სამშობიარო სახლიდან გატანილი იქნა სხვადასხვა სახეობის სამედიცინო ინვენტაერი და აღჭურვილობა.

მინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ თქვენი მხარდაჭერით ჩვენ შევიმუშავებთ მართვის ისეთ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებას, ეკონომიკურად იქნება გადახდისუნარიანი და რენტაბელური.

შპს "სენაკის სამშობიარო სახლის" დირექტორი: კ. ვახანია